ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

2	სამი თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	8 766.5	**4 462.0**
გადასახადები	2 554.8	**1 776.4**
გრანტები	5 396.2	**2 242.2**
სხვა შემოსავლები	**815.5**	**443.4**
ხარჯები	**6 427.3**	**4 699.8**
შრომის ანაზღაურება	**1 975.2**	**1 933.2**
საქონელი და მომსახურება	**2 322.0**	**1 318.8**
პროცენტი	**0,0**	**0,0**
სუბსიდიები	**725.4**	**286.4**
გრანტები	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	**227.2**	**162.6**
სხვა ხარჯები	**1 177.5**	**998.8**
საოპერაციო სალდო	**2 339.2**	**-237.8**

არაფინანსური აქტივების ცვლილება	**5 611.6**	**1 918.2**
ზრდა	**5 611.6**	**2 019.1**
კლება	0,0	**100.9**
მთლიანი სალდო	**-3 272.4**	**-2 156.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-3 272.4**	**-2 156.0**
ზრდა		
ვალუტა და დეპოზიტები		
კლება	**3 262.5**	**3262.5**
ვალუტა და დეპოზიტები	**3 262.5**	**3 262.5**
ვალდებულებების	0.0	**0.0**
ზრდა	0.0	**0.0**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	0.0	**0.0**
კლება	0.0	**0.0**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	0.0	**0.0**
ბალანსი	0.0	**0.0**

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**სამი თვის გეგმა**	**საკასო შესრულება**
შემოსულობები	**8 766.5**	**4 562.9**
შემოსავლები	**8 766.5**	**4 462.0**
არაფინანსური აქტივების კლება	**0,0**	**100.9**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**	**-**
გადასახდელები	12 038.9	**6 718.9**
ხარჯები	**6 427.3**	**4 699.8**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**5 611.6**	**2 019.1**

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
ნაშთის ცვლილება	**-3 272.4**	**-2 156.0**	

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **12 029.0** ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა **7 825.4** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **65.1** %.

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **8 766.5** ათასი ლარი ფაქტიურად **4 462.0** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის **51.0** % შეადგინა.

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **1 776.4** ათასი ლარი, გეგმის **2 554.8** ათასი ლარის **69.5 %**. საგადასახადო შემოსავლებში **28.6** ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო **1 747.8** ათასი ლარი გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **2 242.2** ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო **5 396.2** ათასი ლარი, 41.5 %. მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერი – 970.2 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი – 1 272.0 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით სამ თვეში სულ შემოსულია **443.4** ათასი ლარი, გეგმის **815.5** ათასი ლარის 54.4 %. შემოსავლები საკუთრებიდან სულ შემოსულია 366.7 ათასი ლარი. მ.შ პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 5.9 ათასი ლარი, დივიდენდი განსაზღრული იყო 2,5 ათასი ლარი შემოსულია 0. რენტის სახით მობილიზებულია 360.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 748.1 ათასი ლარის 48.2 %-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 23.7 ათასი ლარი, გეგმის 16.2 ათასი ლარის 146.3 %.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 44.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (51.2 ათასი ლარი) – 86.3% შეადგენს.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის არაკლასიფიცირებული საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8.8 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 12 038.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 718.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 55.8 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის სამი თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 975.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 933.2 ათასი, გეგმის 97.8 %.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 239.4 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 547.8 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 39.1 ათასი ლარი

4. კურორტი ბახმარო : 7.5 ათასი ლარი

5. გარე განათება : 13.3 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა : 110.3 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა- პატრონობა : 12.2 ათასი ლარი

8. სკოლამდელი განათლების დაფინანსება : 412.7 ათასი ლარი

9. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: 521.5 ათასი ლარი.

10. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: 29.4 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა

განსაზღვრულ იქნა 2 322.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 318.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 56.8 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 725.4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 286.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 39.5 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია - 230.0 ათასი ლარი;
- განათლების სისტემის ხელშეწყობა - 10.0 ათასი ლარი;
- რელიგია ორგანიზაციების ხელშეწყობა - 2,5 ათასი ლარი.
-
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება - 43.9 ათასი ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 227.2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 162.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 71.6 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი - 9.1 ათასი ლარი;
- კულტურა ახალგაზრდობა, რელიგია - 1.9 ათასი ლარი
- ლტოლვილთა დახმარება - 0,5 ათასი ლარი;
- ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 5,9 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 80.0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 65.2 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 177.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 998.8 ათასი ლარის მოცულობით, გეგმის 84.8 %. მათ შორის 31.5 ათასი ლარი მოხმარდა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას,

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია 894.2 ათასი ლარი, კულტურა ახალგაზრდული 17,5 ათასი ლარი და სოციალურ პროგრამებს 55.6 ათასი ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		სამი თვის გეგმა	საკასო ხარჯი
7.10	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	1 282.1	1 180.0
7.20	თავდაცვა	48.6	48.2
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	6 804.8	2 888.8
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	174.6	158.6
7.50	გარემოს დაცვა	423.7	378.3
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	50.7	44.5
7.80	-დასვენება და კულტურა,	894.4	783.0
7.90	განათლება	1 984.5	1 015.2
7.10	სოციალური დაცვა	375.5	222.3
	სულ ჯამი	**12 038.9**	**6 718.9**

სარეზერვო ფონდი

2023 წლის პირველ სამ თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 35.1 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 34.8 ათას ლარს.(99,2 %)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამ თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	3 თვის გეგმა	3 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 295.9	1 193.4
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2 938.8	593.5
3	02 02	გარე განათება	163.1	147.1
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 046.3	817.4
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	26.8	23.2
6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	26.1	3.4
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1 766.8	1 451.3
8	02 07	ა(ა)იპ ,, კურორტი“ ბახმარო	11,5	11.5
9	03 00	გარემოს დაცვა	423.7	378.3
10	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	526.2	489.8
11	04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	1 233.1	409.6
12	04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	9.1	0.9
13	04 05	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა მოწყობა	0.1	0.0
14	04 06	საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია	216.0	114.9
15	05 01	სპორტის განვითარება	301.8	252.9
16	05 02	კულტურის განვითარება	572.7	525.4
17	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	15.8	8.0
18	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2,5	2,5
19	05 05	გენდერი	7.5	0,1
20	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	50.7	44.5
21	06 02	სოციალური დაცვა	404.4	251.2
		სულ	**12 038.9**	**6 718.9**